ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი






**ფასდაკლების** ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი,
წარადგინე „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და
მიიღე წიგნი
**ფასდაკლებით**

საბავშვო კარუსელი




ვაუჩერი ძალაშია
2-დან 8 სექტემბრის
ჩათვლით

ლამაზი ამბები
ცხოველებზე

~~12 ლარი~~

5.99 ლარი


შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი

**34**

2 სექტემბერი, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# სმურფების სამყარო



# სმურფების არდადეგები



# დააკავშირე და გაერთე



# ლაბირინთი

პატარა სმურფი ისე მიიყვანე გოგონა სმურფეტასთან, რომ გზად ვარდისფერი ჩხრიალაც აიღოს.



# კროსვორდი



→ **1** „მძინარე ...“;

↓ **2** ხასიათი;

↗ **3** ლაქლაქა, ჭორიკანა;

↓ **4** პურის საცხობი;

↓ **5** სიო;

↓ **6** პატარა ლაქა კანზე;

↓ **7** კითხვა, რომელიც დაესმის ადამიანს;

→ **8** მანათობელი სხეული ცაზე;

↓ **9** დღეს, ხვალ, ...;

→ **10** ის, ვინც კიდობანი ააგო;

↘ **11** დათვის საცხოვრებელი ადგილი;

→ **12** ანტილოპის სახეობა;

↓ **13** ხალიჩა;

→ **14** ჩამონათვალი;

↓ **15** „... საოცრებათა ქვეყანაში“;

→ **16** ქვეყნებს შორის ბრძოლა;

↓ **17** „... პოპინსი“;

← **18** სასკოლო ინვენტარი;

→ **19** მშვილდით სატყორცნი ჯოხი;

↗ **20** იაპონური ორთაბრძოლა;

→ **21** ავტომობილი;

↑ **22** „... ძიებაში“;

↓ **23** სიმბას მეგობარი ლომი;

→ **24** ხეებით დაფარული ადგილი;

↑ **25** „გაყინულის“ გმირი გოგონა;

→ **26** 10X10=?

# იაზროვნე ლოგიკურად

დააკავშირე ნახატები შესაბამის წარწერებთან.








პიკნიკი ბრძოლა თევზაობა კოსმოსი

ღრიალი ფეხბურთი რეცხვა მეკობრე

გოლიათი ფერიები ბალერინა დინოზავრი








# ლაბირინთი „ბოსტნეული“





ამოიკითხე ცხრილში
გაბნეული ბოსტნეულის
სახელწოდებები.



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კ | ი | ი | დ | ო | რ |
| რ | ტ | მ | ს | ტ | ი |
| ი | პ | ო | კ | ა | ფ |
| ო | ბ | მ | ო | ლ | ი |
| ს | ხ | ლ | ა | ო | ჭ |
| ტ | ა | ი | ხ | რ | ა |
| ო | ხ | ვ | ი | ნ | ი |
| ბ | ა | დ | წ | ი | ო |
| ჭ | ი | რ | ა | წ | რ |
| ა | ნ | ი | კ | ა | ი |













# მხიარული სამზარეული

## გაყინული ტკბილეული



ძლიერ სიცხეში ცივ დესერტს არაფერი ჯობია.
მითუმეტეს, თუ საკუთარი ხელით დაამზადებ.
ვნახოთ, რა მოუვა იოგურტს, თუ გავყინავთ.



**იოგურტის დესერტისთვის დაგჭირდება:**

ყინულის კონტეინერი;
იოგურტი;
ჩაის კოვზი.

- იოგურტი ჩაის კოვზით ყინულის ფორმებში გაანაწილე.
- შედგი ფორმები საყინულეში დაახლოებით 3 საათით.

1



2



**ხილის დესერტისთვის დაგჭირდება:**

ყინულის კონტეინერი;
ხილი;
ჩაის კოვზი.

3



**სცადეთ ხილის ყინულიც:**

- გარეცხე ხილი;
- მოათავსე ჯამში და ჩანგლით დასრისე;
- გაანაწილე მასა ყინულის ფორმებში;
- შედგი 3 საათით მაცივარში;
- როცა გამოიღებ, ფორმებიდან ამოყარე და ლარნაკში ჩაყარე.

4



5



სანამ შენი დესერტი გადნება, დაუძახე მეგობრებს და ერთად მიირთვით.

6



7



# მხატვრის შეცდომები

იპოვე ნახატზე 11 უცნაურობა.



რა საოცრებაა სტელა, რომელიც მეზღვაურივითაა გამოწყობილი?! ის მართლაც ყოველთვის მოდურია, პლაჟზეც კი. ცოტა ფერებიც შემატე და... განუმეორებელი გახდება!



სტელა



ვინქსების
შესახებ მეტი
წაიკითხე
წიგნში



# კროსვორდი „სპორტი“




სპორტის ამ სახეობას სჭირდება:

**1**
- მოედანი;
- ბურთი;
- კალათი.

**2**
- ნიღაბი;
- რაპირა.

**3**
- სტადიონი;
- ნესვი.

**4**
- არენა;
- ხელთათმანი.

**5**
- მოედანი;
- ყინული;
- შაიბა.

**6**
- აუზი;
- წყალი.

**7**
- სტადიონი;
- კარები;
- ბადე.

# გააფერადე

განაგრძე შარფების გაფერადება ზუსტად იმ პრინციპით,
როგორც ბებოებმა წამოიწყეს.



# გასართობი გვერდი

პეპლებს, რომლებსაც 5-ზე მეტი წერტილი აქვთ ცალ ფრთაზე,
მეორეზე უფრო ნაკლები წერტილი დაუხატე.



იმ პეპლებს კი, რომლებსაც 5-ზე ნაკლები წერტილი აქვთ,
მეორე ფრთაზე უფრო მეტი წერტილი დაუხატე.

# სახალისო მათემატიკა



შემოხაზე ის
წყვილები,
რომელთა ჯამიც
ხუთის ტოლია.

დომინოების ორივე მხარეს განლაგებული წერტილები
დააჯამე და სწორი ციფრი უჯრებში ჩაწერე.




თამაში „სმურფების სოფელი“
სტარტი
1
2
3
4
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
ვის აქვს დაბადების დღე?
იპოვე მხატ-ვარი სმურფი.
იპოვე მოხუცი სმურფი.
სად არის გოგონა სმურფეტა?




დაუძახე მეგობარს, მოიმარაგეთ ფანტები, კამათელი და თამაშს შეუდექით. ფანტები დააწყვეთ სტარტზე, გააგორეთ კამათელი რიგრიგობით და გადაადგილ-დით იმდენი უჯრით, რა ციფრზეც კამათელი დაჯდება. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მივა ფინიშთან.

– გამოტოვე სვლა;
– გააგორე კიდევ ერთხელ;
– დაბრუნდი 2 უჯრით უკან.

# მსოფლიოს ყველაზე



ჩვენი ნომრის გმირები – სმურფები პარიზში მოგზაურობენ და ბევრ საოცარ რამესთან ერთად, ეიფელის ცნობილ კოშკსაც ნახულობენ. ეიფელი პარიზის სიმბოლოა. მოდით, გავიცნოთ რამდენიმე ყველაზე ცნობილი შენობა და ძეგლი, რომლებიც იმ ქალაქების სიმბოლოებად იქცნენ, სადაც მშენებლებმა და არქიტექტორებმა მიუჩინეს ადგილი.



ეიფელის კოშკი რკინის ნაგებობაა პარიზის ცენტრში. სახელი მთავარი კონსტრუქტორის – გუსტავ ეიფელის პატივსაცემად ჰქვია. 300 მეტრიანი კოშკი 1889 წლიდან დგას პარიზში და მართალია, თავიდან არ მოსწონდათ ფრანგებს, მაგრამ წლებია, რაც საფრანგეთის დედაქალაქის სიმბოლოდ იქცა.



პიზის დახრილი კოშკი იტალიაში, ქალაქ პიზაში მდებარეობს და პიზის ტაძრის ანსამბლის ნაწილი – სამრეკლოა. კოშკი მშენებლობისას დაიხარა, თანდათან უფრო და უფრო იხრებოდა, ბოლოს კი გაამაგრეს, მაგრამ დარჩა გადახრილი და სწორედ ამის წყალობით მოიპოვა პოპულარობა. კოშკი 55-მეტრიანია და 294 საფეხური აქვს.



ლონდონის სიმბოლო ბიგ-ბენია – ვესტმინსტერის სააბატოს სამრეკლო. ამბობენ, რომ სახელწოდება სერ ბენჯამინ ჰოლის პატივსაცემად შეერქვა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს უძღვებოდა. შენობა 1859 წელს ააგეს, 96 მეტრიანია და მასზე ყველაზე ცნობილი საათია დამონტაჟებული.

# ცნობილი ნაგებობები



რომის კოლიზეუმი არა მხოლოდ ამ ქალაქის სიმბოლოა, არამედ რომაული იმპერიის დიდების ერთ-ერთი ნაშთია. თავის დროზე, ის ამფითეატრი იყო, ძველი რომაელები აქ დიდ სანახაობებს აწყობდნენ. დღეს, რომის ყველა სტუმარი აუცილებლად ნახულობს კოლიზეუმს და მასთან სამახსოვრო ფოტოს იღებს.





პირამიდების შესახებ ბევრი გაგიგონიათ და წაგიკითხავთ, ამიტომ, მათზე აღარ გიამბობთ. უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ ეს საოცარი და უძველესი ნაგებობები არა ერთი, რომელიმე ქალაქის, არამედ მთელი ეგვიპტის სიმბოლოა და ასევე, დიდი ეგვიპტური ცივილიზაციის მიერ დატოვებული წარუშლელი კვალი.



ამერიკის ერთ-ერთი, ყველაზე ცნობილი ძეგლი კი თავისუფლების ქანდაკებაა, რომელიც ნიუ-იორკის შტატში, თავისუფლების კუნძულზე დგას. ის ამერიკელებისთვის თავისუფლების ნამდვილი სიმბოლოა.



ოლიმპიადის მიმდინარეობისას, ალბათ, ხშირად შენიშნავდით იესო ქრისტეს ქანდაკებას, რომელიც ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს გადმოჰყურებს. ქანდაკება კორკოვადოს მთაზეა აღმართული და ეს 38 მეტრიანი ძეგლი რიოს ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა.

სიდნეის ოპერის თეატრი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ადვილად დასამახსოვრებელი ნაგებობაა. შენობა იალქნიან ხომალდს ჰგავს და 1973 წლის შემდეგ, როცა ის აშენდა, ავსტრალიის ქალაქ სიდნეის სავიზიტო ბარათად იქცა.



# ლობიოს მარცვალი



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... შვიდი მთისა და შვიდი ქვეყნის იქით ცხოვრობდა ერთი ღარიბი ქალი. ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა და მხოლოდ ერთი ძროხა ებადა. დადგა დღე, როდესაც სახლში ნამცეცი პურიც კი აღარ მოეპოვებოდათ. შიმშილისგან რომ არ დახოცილიყვნენ, გადაწყვიტეს, ძროხა გაეყიდათ: – „წადი, შვილო, წაიყვანე ჩვენი ძროხა, იქნებ კარგ ფასში გაყიდო და შიმშილს გადავრჩეთ. ხომ ხედავ, სხვა გამოსავალი აღარ დაგვრჩენიაო“, – უთხრა დედამ შვილს.

ბიჭმა ძროხა წინ წაიმძღვარა და ბაზრისკენ გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მყიდველიც იპოვა – ერთი კეთილი მოხუცი, რომელმაც ძროხაში მხოლოდ ერთი მარცვალი ლობიო შესთავაზა. ბიჭმა იუარა: „არა, ვერ მოგყიდი, ეს ძროხა უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ერთი მარცვალი ლობიო“, მაგრამ მოხუცი არ მოეშვა: „აიღე ეს საფასური და არ ინანებო“. ბიჭი დათანხმდა, წამოიღო შინ ლობიოს მარცვალი და დედას მიუტანა.

– იმ უსინდისო მყიდველმა ასე როგორ მოგატყუა და გაგაბრიყვა?! – ტიროდა დედა. ბიჭმა დაამშვიდა: – ნუ დარდობ, დედა, მოხუცმა კაცმა დამარიგა: ეს ლობიოს მარცვალი შენი ფანჯრის ძირში დათესე და დილისთვის მისგან რა ამოიზრდება, ნახავო.

ბიჭი მართლაც ასე მოიქცა, ღამით ლობიოს მარცვალი დათესა. როგორც კი ირიჟრაჟა, ფანჯრიდან გაიხედა და რას ხედავს – ლობიოს მწვანე ღერო ისე გაზრდილიყო, რომ მისი წვერო ღრუბლებში დაკარგულიყო. ბიჭმა გადაწყვიტა, ლობიოს ღეროზე ამძვრალიყო და გაეგო, სადამდე მიიყვანდა.

– არ ახვიდე – შეეხვეწა დედა – ჩამოვარდებიო, მაგრამ ბიჭმა თავისი გაიტანა და ლობიოს ღეროზე აცოცებას შეუდგა. ბევრი იცოცა თუ ცოტა, ბოლოს რაღაც ხვრელში ამოყო თავი, მიიხედ-მოიხედა და იქვე, ლამაზი ქოხი დაინახა. მივიდა ქოხთან, კარი შეაღო და ოთახში უცნობი ქალი დახვდა.

– აქ როგორ მოხვდი? – შეშინდა დიასახლისი. – ჩემი ქმარი ურჩხულია, არ მოგისწროს, თორემ შეგჭამსო.

ბიჭს შეეშინდა და ქალს შეეხვეწა: გთხოვ, ნუ გამწირავ, დამმალე. უკვე ძალიან ბნელა და უკან გზას ვეღარ გავიკვლევო.

ქალი კეთილი აღმოჩნდა, შეეცოდა ბიჭი, დააპურა, შემდეგ დიდი ვარცლის ქვეშ დამალა და ვარცლიანად საწოლის ქვეშ შეაცურა.

ურჩხული შინ შუაღამისას დაბრუნდა და კარზე საშინელი ბრახუნი ატეხა. თან შავი დედალი მოიყვანა, მაგიდაზე დასვა და უბრძანა:

— აბა, ქათამო, კვერცხი დამიდეო!

ბიჭი ისე იყო შეშინებული, რომ განძრევასაც ვერ ბედავდა. ქათამმა მაშინვე ოქროს კვერცხი დადო. ურჩხულმა რამდენჯერმე უბრძანა ქათამს კვერცხის დადება. როდესაც მაგიდაზე ბევრი ოქროს კვერცხი დაგროვდა, ურჩხულმა ვახშამი მოითხოვა. კარგად დანაყრდა, დაავლო ვიოლინოს ხელი და დაკვრა დაიწყო. უცებ შეწყვიტა დაკვრა, ბოროტი თვალები იქაურობას მოავლო და ცოლს დაუღრიალა: — დედაკაცო, რაღაც უცხო სუნი მცემს, სახლში ვინმე ხომ არ შემოსულაო?

— რას ამბობ?! აქ შენი შიშით უცხო როგორ შემოაღწევდა?! — დაამშვიდა ქალმა.

ურჩხულმა დაკვრა განაგრძო. როდესაც დაიღალა, ტახტზე წამოგორდა და მაშინვე ჩაეძინა. ბიჭი კი ფხიზლად იყო და როგორც კი დარწმუნდა, რომ ცოლ-ქმარს ღრმად ჩაეძინა, ჩუმად გამოძვრა ვარცლის ქვეშიდან, შავ დედალს ხელი დაავლო და უბეში ჩაისვა. მაგრამ ამ დროს, შეშინებულმა დედალმა დაიკრიახა და ურჩხულს გაეღვიძა. მიიხედ-მოიხედა, დედალი რომ ვერსად დაინახა, წამოხტა და გარეთ გავარდა. ბიჭი თავქუდმოგლეჯილი იმ ხვრელისკენ გარბოდა, საიდანაც ლობიოს კენწეროზე მოჩანდა. არც ურჩხულმა დააყოვნა და ბიჭს უკან დაედევნა. მაგრამ ბიჭი ძალიან სწრაფად გარბოდა. უკვე ძირს ჩაცოცებულმა, ცულს ხელი დაავლო და მთელი ძალით ლობიოს ღეროს ძირში დასცხო. ღეროს ძირი გადატყდა, ურჩხული თვალუწვდენელი სიმაღლიდან ძირს დაენარცხა და სული განუტევა.

სოფლის მცხოვრებლები მაშინვე იქ გაჩნდნენ და ურჩხული ცეცხლს მისცეს. შეშინებული დედა, ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა: — ნუ დარდობ, დედა, ნახე, შავი დედალი მოგიყვანე. ის ოქროს კვერცხებს დებს და ამიერიდან საჭმელიც გვექნება და სასმელიც, სხვებსაც არაფერს გავუჭირვებთო. ბიჭმა დედალი მაგიდაზე დასვა და ტკბილი სიტყვით სთხოვა:

— აბა, ქოჩორავ, კვერცხი დამიდეო! — ქათამმაც არ დააყოვნა და ოქროს კვერცხი მაშინვე დაუდო. დედალი ყოველდღე დებდა ოქროს კვერცხს და ღარიბმა დედა-შვილმაც ამოისუნთქა — ლამაზი ქოხი აიშენეს, ცხენები, ხარები და ძროხები იყიდეს. მათი სიკეთით კი სოფელიც ნელ-ნელა შენდებოდა და მშვენდებოდა.



*უნგრული ზღაპარი*

ამოჭერი ფრაგმენტები
და ყველა არსებას შეუვსე
ცარიელი ადგილი.













გააფერადე
მინიშნების
მიხედვით.

# გააფერადე



გამოიწერეთ ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
უფასო მომსახურებით
დაგვიკავშირდით:
2 38 26 73; 2 38 26 74
ELVA.GE წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

# გააფერადე






HARIBO
GOLDBÄREN
HARIBO MACHT KINDER FROH
Das Original
UND ERWACHSENE EBENSO

# შეამოწმე შენი ცოდნა





1. რა ჰქვია მთიდან მოწყვეტილ თოვლის მგრგვინავ მასას?

ა ზვავი

ბ მეწყერი

გ ლავა



2. რა ჰქვია სახელისა და გვარის პირველ ასოებს?

ა ინიციალები

ბ ინიციატივა

გ ინტერვალი



3. რომელი ცხოველი იტანს სიცივეს კარგად?

ა თეთრი დათვი

ბ ვეფხვი

გ სპილო





## 4. რა არ რჩება გაცრის შემდეგ საცერში?

ა ფქვილი
ბ ქატო
გ ღერღილი



## 5. რომელი გამოთქმა ნიშნავს „გაყოყოჩდა“?

ა თავი აიშვა
ბ თავზე ხელი აიღო
გ თავში აუვარდა





## 6. ვინ უძღვება ექსკურსიას?

ა არქეოლოგი
ბ გიდი
გ მოგზაური



## 7. რა ეწოდება ვენეციურ ნავს?

ა გონდოლა
ბ ბორანი
გ კატერი



## 8. ვინ არის ალპინისტი?

ა მთამსვლელი
ბ მყვინთავი
გ მტვირთავი

# შეიძლება თუ არა სახლში შენი მარტო დატოვება?

შინ მარტო ხარ და
ამ დროს კარზე კაკუნია:
ა) გავიქცევი და
მაშინვე გავაღებ;
ბ) ჯერ დავადგენ, ვინ არის
და ვეტყვი, მოგვიანებით
მოვიდეს;
გ) საერთოდ არ გავაღებ,
ვითომ კაკუნი არ მესმის.



შინ მარტო ყოფნა
მოგწყინდა და რაიმე
გასართობს ეძებ...
ა) მშობლების უჯრებს
გადავქექავ, იქნებ რამე
ვიპოვო;
ბ) წავიკითხავ ან
ჩემს სათამაშოებს
გამოვალაგებ;
გ) კომპიუტერს ჩავრთავ.



შინ მარტო მყოფს
მოგშივდა...
ა) თავად მოვამზადებ
საჭმელს, ქურის
ანთება შემიძლია;
ბ) რაც დედამ დამიტოვა,
იმას მივირთმევ;
გ) ვეცდები,
მაცივარში
რამე
გემრიელს
მივაგნო.



მეგობარმა დაგირეკა და
თავისთან მიგიწვია
ა) მაშინვე გავიქცევი;
ბ) დედას დავურეკავ და
ვკითხავ, როგორ
მოვიქცე;
გ) წავალ, მაგრამ კარგად
შევამოწმებ, კარი
დავკეტე, თუ არა.

არჩევანი გაქვს –
მარტო დარჩე შინ ან
მშობლებს გაჰყვე?
ა) მირჩევნია, დავრჩე და
ჩემს ჭკუაზე გავერთო;
ბ) დავრჩები და ყველაფერს
შევასრულებ, რასაც
მშობლები დამიბარებენ;
გ) დავრჩები, მაგრამ ცოტას
ვინერვიულებ.



თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:
ცოტა მოუსვენარი და ზედმეტად გაბედული ჩანხარ. შეიძლება, რამე დაიშავო, ამიტომ სახლში შენი მარტო დატოვება არ ღირს.

ბ ვარიანტი:
საკმაოდ გაწონასწორებული ხასიათი გაქვს. ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ, მართლაც შეიძლება, ცოტა ხნით მარტო დაგტოვონ.

გ ვარიანტი:
ძნელი სათქმელია, თუმცა, თუ მეზობელი ხშირ-ხშირად დაგხედავს, ცოტა ხნით შენი შინ დატოვებაც შეიძლება.



# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


კობა ქსოვრელი, 13 წლის


ნინო მორჩილაძე, 9 წლის


ანიტა ყარალაშვილი, 8 წლის


საბა კუპატაძე, 9 წლის


დიტო პაჭკორია, 7 წლის


მარიამ შუშტაკაშვილი, 6 წლის


ნუცა ქვრივიშვილი, 8 წლის


გიორგი ავალიშვილი, 9 წლის


ლუკა კიკაბიძე, 8 წლის


თიკა მჟავანაძე, 8 წლის


თორნიკე ხაჩიძე, 4 წლის

## №34-ის პასუხები

**გვ. 6. რობოტვორდი:**
1. მზეთუნახავი; 2. ზნე; 3. ენაჭარტალა; 4. თონე; 5. ნიავი; 6. ხალი; 7. ვინ; 8. მზე; 9. ზეგ; 10. ნოე; 11. ბუნაგი; 12. გნუ; 13. ნოხი; 14. სია; 15. ალისა; 16. ომი; 17. მერი; 18. მერხი; 19. ისარი; 20. კარატე; 21. მანქანა; 22. ნემოს; 23. ნალა; 24. ტყე; 25. ელვა; 26. ასი.

**გვ. 8. ლაბირინთი „ბოსტნეული“:**
კიტრი; პომიდორი; სტაფილო; კომბოსტო; ჭარხალი; ხახვი; ნიორი; წიწაკა; ბადრიჯანი.

**გვ. 12. კროსვორდი „სპორტი“:**
1. კალათბურთი; 2. ფარიკაობა; 3. რაგბი; 4. კრივი; 5. ჰოკეი; 6. ცურვა; 7. ფეხბურთი

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ა; 2-ა; 3-ა; 4-ა; 5-გ; 6-ბ; 7-ა; 8-ა.

**გვ. 30. მინისკანვორდები:**

**1.**
1. მაიმუნი; 2. კიტრი; 3. მიკი; 4. კარეტა; 5. მზე; 6. იქა; 7. ბუშტი; 8. ია; 9. ცა.

**2.**
1. ბურთი; 2. ბუ; 3. თაიგული; 4. აბუ; 5. ბალიში; 6. გული; 7. გოლი; 8. შალი; 9. ბიძია; 10. ბუზი.

**3.**
1. მანქანა; 2. მინი; 3. დანა; 4. ინდაური; 5. ქილა; 6. კაა; 7. აი; 8. რიონი;

**4.**
1. პეპი; 2. პეპელა; 3. პინოკიო; 4. პონი; 5. რკო; 6. კივი; 7. კალია; 8. ლოტო; 9. იო.


დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №34 (599)



ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# მინი სკანვორდები

1




2




3




4



გაატარეთ ზაფხული მხიარულად

# გააფერადეთ არდადეგებზე!

**5** გასაფერადებელი + ფანქრების კომპლექტი
ჟურნალ „საბავშვო კარუსელის“ ბიბლიოთეკისგან




კომპლექტის ფასი
3 ₾

შეიძინეთ პრესის გავრცელების ჯიხურებსა და „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში

# გამომცემლობა პალიტრა L-ის წიგნები

**გვ. რაოდ.:** 511
**ფორმატი:** 17.5X22.5
**ყდა:** ფლექსი

## ცოდნის სამყარო




გინდა იყო ყოვლისმცოდნე?
მაშინ ეს წიგნი შენთვის არის!
აქ თავმოყრილია საინტერესო ცნობები, ილუსტრაციები, უცნობი და ცნობილი ფაქტები, მსოფლიო რეკორდები.
წიგნიდან გაიგებ, როგორ ყალიბდება ვარსკვლავები, როგორ წარმოიქმნა ცუნამი, რატომ გადაშენდა ცხოველთა სამყაროს ესა თუ ის სახეობა და რა მიზეზებმა გამოიწვია რომის იმპერიის დაცემა.

**ფასი 22.99 ლარი**

**გვ. რაოდ.:** 19
**ფორმატი:** 21.5X27
**ყდა:** რბილი

## ფერიების სამკაულები

## პრინცესების სამკაულები




ყველა გოგონას უნდა ფერიებისა და პრინცესების სამყაროში მოხვდეს!
ეს წიგნები ნამდვილ პრინცესად გაქცევს. აქ სახალისო თამაშები გელოდება! გაერთე, გააფერადე და სტიკერებით საუცხოო დიზაინის სამკაულები შექმენი!
და ეს ყველაფერი არ არის!
წიგნებს ზღაპრული ყელსაბამი და სამაჯური მოჰყვება, რომლებიც თავს ნამდვილ პრინცესად გაგრძნობინებს!

**ერთი წიგნის ფასი 7.99 ლარი**

**გვ. რაოდ.:** 512
**ფორმატი:** 17.5X22.5
**ყდა:** ფლექსი

## ჰანს კრისტიან ანდერსენი ზღაპრები




ყველა ბავშვის საყვარელი მწერლის ჰანს კრისტიან ანდერსენის საოცარი ზღაპრები!
ამ წიგნში თქვენი საყვარელი ზღაპრები გელოდებათ და კიდევ ულამაზესი ნახატები.
აქ სიკეთე ბოროტებას ამარცხებს, ცხოველები ადამიანებივით საუბრობენ და პრინცესებს ღარიბი ჭაბუკები უყვარდებათ...
და ისე, როგორც ყველა ზღაპარში, ყველაფერი ბედნიერად სრულდება. წაიკითხეთ და იმოგზაურეთ ჯადოსნურ სამყაროში.

**ფასი 22.99 ლარი**

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომერზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ www. palitral.ge Palitra.L.Publishing